ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.04.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/15

შეკითხვა:

ადვოკატი „ა“ სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა კლიენტ „ბ“-ს, როგორც ბრალდებულის ინტერესებს, ხოლო შემდგომ, ადვოკატმა „ა“-მ სხვა საქმეზე საადვოკატო მომსახურება გაუწია კლიენტ „გ“-ს, თუმცა მოცემული საქმე გარკვეულწილად უკავშრდება კლიენტ „ბ“-ს ადრინდელ საქმეს. მოცემულ დავაში, მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა ყოფილი კლიენტი „ბ“.განსახილველ შემთხვევაში, დაარღვევდა თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა განახორციელა საადვოკატო მომსახურება ყოფილი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ სხვა საქმეზე. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა სხვა საქმეზე გაუწია საადვოკატო მომსახურება კლიენტ „გ“-ს, მაგრამ აღნიშნული საქმე უკავშრდებოდა ადრინდელ საქმეს. განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა, ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობდეს, მაგრამ სახეზე იყოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე, რაც ადვოკატის მიერ ეთიკური ვალდებულების დარღვევას იწვევს. ადვოკატმა ყოველთვის უნდა ეცადოს თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს.

დასკვნა:

ადვოკატი „ა“-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან მან საადვოკატო მომსახურება გაუწია ყოფილი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს ადრინდელ საქმესთან დაკავშირებულ საქმეზე.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.